თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12/6

2010 წლის 29 ოქტომბერი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად,

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამახურის დებულება.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. მესტვირიშვილი**

დანართი №1

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური არის მუნიციპალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების სფეროში საკრებულოს და გამგეობის საქმიანობას.

2. სახელმწიფო შესყიდვების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

მუხლი 2. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ფურნქციებია

ა) სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მომზადება;

ბ) სატენდერო კომისიის ოქმების და სხვა დოკუმენტების წარმოება;

გ) ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების მომზადება და გამოქვეყნება;

დ) მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ხელშეკრულების შემუშავება;

ე) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის მომზადება;

ზ) სახელმწიფო შესყიდვების გეგმით განსაზღვრული მუნიციპალური შესყიდვების განხორციელება მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების შესაბამისად;

თ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ადმინისტრაციული გარიგებების მომზადება, მათი შესრულების კონტროლი;

ი) საკრებულოს, მუნიციპალური სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოების სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების, კავშირგაბმულობის და სხვა ტექნიკური საშუალებების გამართული ფუნქციონირება, რემონტი, დაცვა და ტექნიკური მომსახურება;

კ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 3.სამსახურს უფლება აქვს

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლის 4. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის საშტატო ნუსხას და სამუშაოთა აღწერილობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივების ფარგლებში მტკიცდება საკრებულოს დადგენილებით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, დებულებებში ცვლილებების შეტანა წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დადგენილების შესაბამისად.